საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 90 2019 წლის 22 მარტი ქ. თბილისი

ა. საღირაშვილისათვის „საქართველოს მთავრობასა და საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს აკაკი საღირაშვილის მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გ. ქობულიასათვის „საქართველოს მთავრობასა და საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 4 ოქტომბრის №378 ბრძანება.

მამუკა ბახტაძე